რედაქცია

გალავინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა


ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო. მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასო. ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ჯალკენომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


ოთხი თვის ხელის-მოწერა

პირველის ენკენისთვიდამ წლის დამლევამდინ

## დროება

ცალკე ღირს — სამი მანეთი

## ივერია

ცალკე ღირს — ორი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ხუთი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (ხიდაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

# ტელეგრამმა

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 19 ენკენისთვეს. უმაღლესის ბრძანებით, გრაფ ადლერბერგ მეორემ მიიღო იმპერატორ ალექსანდრე მეორის სურათი ალმასებით შემკობილი.

სენატის განკარგულებით, 3 ენკენისთვიდამ გსევოლოჟსკი დანიშნულია საიმპერატორო თეატრების დირექტორათ.

სახალხო განათლების მინისტრი ბარონ ნიკოლაი დაბრუნდა პეტერბურღში 16 ენკენისთვეს.

სტამბოლი 19 ენკენისთვეს. აზრუმიდამ მოვიდა ცნობა 16 ენკენისთვეს, რომ ჭონარის მაზრაში მიწისძვრა ყოფილა ბევრი სახლები და მინარები დაინგრა და 12 კაცი მოკვდა,

## ახალი ამბები.

გუშინ, ორშაბათს, ნაშუადღევის ექვსს საათზე მთავრობამ გაუმართა სადილი არხეოლოგიურ კრების წევრთა. სტუმრებს გარდა ას კაცამდინ სხვებიც იყვნენ ამ სადილზე მოპატიჟებულნი.

*
* *

ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული—თუ რა მშვენიერად გაუმართავს და მოუწყვია ბატ. რადდეს კავკასიის მუზეუმი. ამ მოკლე ხანში უფრო დაწვრილებით აღწერას დავბეჭდავთ მუზეუმისას; ახლა კი ვაცნობებთ მკითხველებს, რომ ამ მუზეუმის გასამართავად და გასადიდებელად ხაზინას სულ 60,000 მანეთი დაუხარჯავს; 40,000 მან. თვითონ მუზეუმის შენობისათვის და 20,000 მანეთიც შიგნი მოსაწყობად.

*
* *

ქართლის ერთ სოფლიდამ კასპიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ ქვეყნის დაქცევის შესახებ:

„აქ ძალიან გავრცელდა ხმა წარღვნაზე და ისე ჩაენერგა ეს გულში კასპელებს, რომ ვერც მღვდლის სიტყვა, ვერც სხვისა ვისიმე ვერ აჯერებს იმათ, რომ ეს მოგონილი ჭორია.

„ხალხი მოელის წარღვნას შუა ნოემბერში. იმათის სიტყვით, ეს წარღვნა ასე მოხდება:

„ჯერ ბამბა ითოვლებს, მერე ცეცხლი, ბოლოს ბამბას ცეცხლი გაუჩნდება და ქვეყანა გადაიწვება!..

„გარდა ამისა კასპელები გულგახეთქილი ელიან იმ მიწის-ძვრას, რომელიც, როგორც ისენი ამბობენ, უნდა იყვეს მალე. ბევრი იმათგანი ეძებს მაგარ სახლებს, ზევრნი კიდევ ეძებენ სხვა ღონისძიებას, მაგალითად ერთი ბებერი დედაკაცი თურმე აპირობს რაც ქონება აქვს, ერთ დიდ გოდორში ჩააწყოს და კარზე დადგას, თითონაც გოდორს გვერდზედ მოუწვეს, რადგან ეშინიან თავის ძველი სახლის დაქცევისა. მეორე ახალგაზდა ქალსა, რომელსაც ქმარი სხვაგან ჰყვანდა საქმეზე, გაუგონია, რომ მიწის-ძვრის დროს სოფლები მიწაში ჩაძვრებიანო, ამითი გულ-გახეთქილს მიუწერია წიგნი ქმრისთვის: — ჩქარა მოდი, თუ სიკვდილია, ერთათ მოვკვდეთო, მიწაში ერთათ ჩავძვრეთო.

„რასაკვირველია, ამისთანა სულელური ხმები წარღვნაზე გავრცელებულია უფრო დაბალ ხალხში, მაგრამ ზოგიერთ აზნაურებსაც კი სჯერათ, რომლებიც სუყოველთვის გაიძახიან, რომ ჩვენ სისხლით და მაღალი აზრებით ვირჩევით გლეხებისგანაო!“

*
* *

ლეჩხუმიდამ ვვწერენ, რომ იქაური—ცაგერის იარმუკობა გათავებულა; მაგრამ ზუგდიდიდამ, სენაკიდამ და გურიიდამ წელს ძალიან ცოტა ხალხი მოვიდაო, რადგან, ლვედის ტყეში გზის გაფუჭების გამო, ხალხმა გასასყიდი პირუტყვი ვერ მორეკა და საქონელი ვერ მოიტანაო; მხოლოთ ცოტა ცხვარი გაისყიდაო. ხონელებმა მარილი ვერ მოიტანეს და ამის გამო წელს ზემო და ქვემო სვანეთის ხალხი ხელ-ცარიელი დაბრუნდნენ შინ და, რადგან ახლა მალე გზა შეეკრება.

---

«დროების» ფელტონი, 22 სეკტემბ.

## სალამი*)

შავი ბედი საქართველოს
ძველათგანვე ულლათ აწვა;
ბევრი ნახა აოხრება,
დაქცევა და ცეცხლით დაწვა.

—

მაგრამ მაინც, უცნაურათ,
არ ჰქრებოდა...არ კვდებოდა:
ის ფერფლიდამ ისევ წმინდათ
ის ორბივით ახლდებოდა.

—

ნაშთი ჩვენის ძველ-დიდების
დღეს ღრმათ არის დამარხული!
ზეზეულად დაგვრჩა მხოლოდ
ქართველური წმინდა გული.

—

და იმ გულით გეგებებით
დღეს ჩვენს სტუმრებს, მეცნიერებს!..
თქვენი შრომა, თქვენი ღვაწლი
მას მადლობით აგვიძგერებს.

—

მოგვეგებივით მოგზაურობთ,
ზინდათ ძველის გამოკვლევა?
ღმერთმა მოგცესთ გამარჯვება!..
დაგვირგვინდეს თქვენი ძლევა!..

—

ღმერთმა ჰქნას, რომ სხვებიც გაჩნდენ
აწ აქ თქვენი მიმბაძავი,
რომ შეიტყონ ჩვენი აწმყო,
ჩვენი კარგი, ჩვენი ავი.

—

გვიყურონ და შეგვისწავლონ
მეცნიერის მოყვრის თვალით,
რომ ჩვენც გაჰყვეთ ერთათ, ძმურათ
სწორის გზით და მართლის კვალით!!

—

მაშინ ჩვენ თქვენ არ გაკმარებთ
დღევანდელებრ მარტო თბილ გულს:
რასაც ეძებთ დღეს, მის კარებს
ჩვენგან ნახავთ მზათ გაღებულს!..

აკაკი.

*) ამ ლექსით მიესალმა აკტორი გუშინ, ორშაბათ საღამოს, ქართულ წარმოდგენაზე მიწვეულს არხეოლოგიურ კრების წევრთა. რედ.

## ელგუჯა *)

თავი II

ჩვენი მოთხრობისათვის საჭიროა გავაცნოთ სვიმონ ჩოფიკაშვილი.

საქართველოს რუსების მფარველობის ქვეშ შესვლამდინაც, სვიმონ ჩოფიკაშვილი იყო ერთი მიღებულ კაცთაგანი მეფესთან. ამას ებარა მთელი მთის ხალხი და ის სიმაგრეები, რომელსაც კავკასიის კარს უწოდებენ—დარიელა.

ეს პირი ჯერ წინააღმდეგი იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მაგრამ უკანასკნელს რჩევაზედ, რომელიც მეფის სასახლეში იყო გამართული, იმან შეიტყო მეფის გარდაწყვეტილი სურვილი და, როგორც მეფის ერთგულთაგანი, რომელსაც მეფის წადილის წინააღმდეგობა მომაკვდავს ცოდვათ მიაჩნდა, დამორჩილდა იმის ბრძანებას და მიემხრო შეერთების მსურველებს.

რჩევის შემდეგ ის ისევ თავის მთებში დაბრუნდა და მეფის ბრძანებისამებრ, მიიღო თავის თავზედ ზრუნვა მომავალს რუსებზედ.

ის გულმოდგინეთ ასრულებდა ამ სამსახურს და ცდილობდა მეფე გიორგის აღსრულებოდა ის წადილი და ის სარგებლობა, რომელსაც ის და იმისი მომხრენი ამ მფარველობისაგან მოელოდნენ. ის ჩქარა შენიშნეს რუსებმაც; იმათ დაინახეს იმისი გავლენა მთაში და თავის მხრითაც მიანდეს სხვა-და-სხვა განკარგულება ჯარების შესახებ. რასაკვირველია, ეს იმათთვის სასარგებლო პირი კიდეც დააჯილდოეს და პირ-და-პირ მაიორის მუნდირით და ეპოლეტებით აავსეს იმისი მხარ-ბეჭი.

ამ გვარი სვიმონის მდგომარეობამ შურში შეიყვანა ზაგი, რომელსაც სამუდამო ზრუნვათ შეექნა სვიმონის დამცირება, რათა თითონ დაეჭირა იმისი ადგილი. ამისათვის ზაგი შეუჯდა ალექსანდრე ბატონიშვილს, დაარწმუნა, რომ რუსების შემოსვლის მიზეზი მარტო სვიმონ იყო და ეს რომ არ ერეოდეს საქმეში და უშლიდეს, რუსების განდევნა ადვილი იქნებოდაო. ბატონიშვილი წინათვე იცნობდა სვიმონს, როგორც ერთს სასარგებლო და ჭკვიანს კაცს, და ამისათვის იმის დაცემა იქამდისინ არ უნდოდა სანამ იმის მომხრობას არ ცდიდა.

ალექსანდრემ, რომელსაც ხევსურეთში, თავის მომხრე ჯარები შეეყარა, გამოუგზავნა კაცი სვიმონს და ითხოვდა მისგან სრულ მორჩილე-

*) „დროება“, № 150.

ბათ, მთელი ზამთარი უმარილოდ უნდა გაატარონ.

კორრესპონდენტი გვწერს, რომ, თუ ზემოხსენებული გზა არ გაკეთდა, სვანეთის ხალხს ცხოვრება არ შეუძლიანო.

* * *

ხაშურიდამ გვატყობინებენ:

„ქალებმაც წაბაძეს კაცებსა იარაღით ჩხუბში: ერთმა ობერ-კანდუქტორის პეტესბუას ცოლმა ნატალია ნანაშვილის ქალმა ესროლა რევოლვერი სამჯერ კანდუქტორის მატატე ისჩენკოს ცოლს, რომელსაც პატარა ბავშვი თან ახლდა, ამ ბავშვს ტყვიამ ყურზედ წაჰკრა.

„მიზეზი რევოლვერის სროლისა ყოფილა: აქ ერთი მეისრე სამსახურიდამ გასულა; იმას პატარა ძაღლი უჩუქებია ისჩენკოს ცოლისათვის; ეს ძაღლი ნატალია ნანაშვილის ქალს მიუჩვევია, ისჩენკოს ცოლი მის წამოსაყვანათ მისულა, მოსვლიათ ჩხუბი და ამ დროს ზემოხსენებულ ქალს უსვრია რევოლვერი სამჯერ, მაგრამ ღვთით პატარა ბავშვი სიკვდილს გადარჩა.

„ამ ნანაშვილის ქალს ეს მეორეთ მოუვიდა ამისთანა საქმე: ამას წინეთ გაისროლა რევოლვერი, იქ ახლოს სახლს აშენებდნენ მუშები, ერთ იმათგანს ტყვიამ ახლოს გაუარა და ის მუშა შიშისგან ძირს ჩამოვარდა".

## „დროების" კორრესპონდენციები

—

**რაჭა, 15 სექტემბერს.** გლეხ-კაცების განთავისუფლებისა გამოცხადების ღღიდამ დროებით-ვალდებული გლეხები ჩვენს მაზრაში მშვიდობიანათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ბატონებთან. მებატონეთ ახსოვსთ მათი ნაყმევების ერთგული სამსახური.

ამ ნაირმა მათ შორის მტკიცე კავშირმა რაჭაში ერთობ წარმატებით წაიყვანა გლეხებისგან ნადელების შესყიდვის საქმე. გულ-კეთილნი მებატონენი, შეუწუხებლად მომრიგებელი შუამდგომელთა, ურიგდებიან დროებით ვალდებულ ნაყმევებს და შემდგომ წარემგზავრებიან მომრიგებელ შუამდგომლებთან, შესადგენელათ მათ შორის გამოსყიდვისა პირობის.

თუ გლეხს გამოსყიდვის ჯამი ხელთ არა აქვს, მებატონენი სჯერდებიან შინაურულათ შედგენილ ხელ-წერილს და ხანდის-ხან უხელ-წერილოთაც ნდობა აქვსთ. ამ ნაირმა მოქმედებამ რაჭაში თითქმის გაამესამედა დროებით ვალდებულ გლეხების რიცხვი.

სამწუხაროდ, ამ ნაირს მებატონისა და გლეხის დამზადებულ საქმეს ზოგიერთი კერძო პირნი აღმოუჩნდნენ მტრად. აი მაგალითი:

ერთს ზემო იმერელს აზნაურს მ—იანს ჰყავდა ქვემო-რაჭაში დროებით ვალდებული გლეხი ს—ჯაძე, რომელმანც თავის მებატონისაგან შეისყიდა ყველა მიწა მამული 700 მანეთად; მაგრამ რადგან ს—ჯაძეს ხელად 300 მანეთზედ მეტი არ ჰქონდა, ამის გამო დანარჩენს 400 მანეთზედ მისცა ვექსილი, ნოტარიუსის რიგით შესრულებული. გავიდა თუ არა ვადა მ—იანმა მოსთხოვა გლეხს ს—ჯაძეს 400 მანეთი, და ბოლოს საქმემ იქნამდინ მიაღწია, რომ მ—იანმა სასამართლოს წესით უნდა ეძიოს გლეხის ვალი. გლეხს აღმოუჩნდა ერთი ვინმე ნოტარიუსი, რომელმაც ურჩია მას, რომ მისცეს თავის ნათესავს მღვდელს მამა ლ. ს—ძეს ვექსილები რაოდენიმე ათასის მანეთისა და როდესაც მღვდლის ვალში აიწერება იმის ადგილ-მამული, მაშინ აზ. მ—იანს 400 მანეთში ცოტას მეტი აღარ ერგებაო.

რჩევა პატივ-ცემულის მრჩეველისა მაშინვე აღსრულდა: გლეხმა მისცა მღვდელს 3,000 მანეთის ვექსილი, დამტკიცებული მრჩეველისაგან. მღვდელმა მოკლეს დროში მიიღო ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელის მოსამართლისაგან აღსრულებითი ფურცლები (**исполнительный листъ**). დაჩაგრულმა მებატონემ, რომ ვაიგო ზემორე მოყვანილი გარემოება, მაშინვე პატ. ქუთაისის ღუბერნატორს მიმართა თხოვნითა, რომელმაც მკაცრი განკარგულება მოახდინა და, როგორც ჩვენ ნამდვილათ ვიცით, ადგილობრივმა მომრიგებელ შუამდგომელმა, ბატ. ჯ—ლმა, რომელსაც ჰქონდა ეს საქმე მინდობილი ბ. ღუბერნატორისაგან, —გამოიკვლია გარემოებანი და მისის რჩევით, დაჩაგრული მებატონე დაკმაყოფილა პატივცემულმა მღვდელმა და ნოტარიუსმა 400 მანეთში, შემდეგ მორთა კეთილ-მოქმედთა პირთა გლეხის საცხოვრებელი ჩაიგდეს ხელში საზოგადო ვაჭრობიდგან (ტორგით.)

საწყალი გლეხი შემდგომ რაოდენიმე ხნისა, ჯავრით გარდაიცვალა სიცოცხლეში ამბობდა თურმე: რა ვქენი ეს! გინდ მგელს შეუჭამია და გინდ მგლის ფერს ძაღლსო!

ეს კი მორჩა წუთის სოფელს მაგმ რამ მისი მოხუცი დედა საწყლად აგდია, პურიც აღარ წაუტეხეს მღდელმა და ნოტარიუსმა

ამ გარემოებამ ჩვენი მებატონეები შეგვიშინა, დაუკარგა მათ მდობა გლეხებზედა; მაგრამ რადგანაც რაჭის გლეხებმა დაინახეს მღვდლისა და ნოტარიუსის მოქმედება გლეხის ს—ძის ჯამის მაზარებლად, ამის გამო იგინი გარეშე პირებს მამულის შესყიდვაში არ ერწმუნებიან: ამ ნაირს შემთხვევაში იმათ სრული დარწმუნება აქვსთ მიროვოის პოსრედნიკებზედ და მათს ყოფილს მებატონეებზედ. და ამნაირად რაჭველმა გლეხებმა, ამ უკანასკნელს წლებში, ხელ-ახლად გაახშირეს მამულების შესყიდვა მებატონეებისაგან.

ერთმა ზემო-რაჭველმა გლეხმა ს. ონჭევში მცხოვრებმა, ამ მარიამობის თვეში შეისყიდა მებატონის აზ. ნესტორ გამყრელიძისაგან მიწა-მამული 2,400 მანეთად, ამ ფულებიდგან გლეხმა ჩააბარა გ. გამყრელიძეს 1000 მანეთი და დანარჩენი 1400 მანეთზე უბრალო ხელწერილით ენდო მებატონემ. ეს არის მაგალითი, იმ რწმუნებისა, რომელიც მოუბრუნდა ჩვენს გლეხებს მღვდლისა და ნოტარიუსის შეშინებულთ მებატონეთაგან.

მოგახსენებენ, რომ მღვდელი ლ. ს.—ძე ხშირად ქადაგობს ეკკლესიაში და აძლევს მრევლს დარიგებას; მაგრამ ზემოხსენებულ მაგალითის შემდეგ ცხადათ დაინახა, რომ მღვდლის ქადაგება და მოქმედება როგორღაც ვერ თავსდებიან ერთმანეთში. ანდაზაა: „სხვისმა მაზიარებელმა თავი ვერ იზიარაო,"

მაიდნელი.

**ხონი, 16 სექტემბერს.** წასრულ კვირაში „დროებაში" დაბეჭდილი იყო შენიშნვა შესახებ ღვდლების მოქმედებისა. მე მინდა იმას დავამატო რაოდენიმე სხვა ცნობები, რომელნიც ცხადათ ამტკიცებენ ზოგი-

---

ბას, ხევიდგან რუსების გარეკას და ამ უკანასკნელებისათვის შემოსასვლელი გზების შეკვრას. ამ ბრძანების აღსრულებისათვის მეფე ჰპირდებოდა დიდს პატივს და წყალობას, მაგრამ უკეთუ სვიმონ არ დამორჩილდებოდა, მაშინ ემუქრებოდა სვიმონის სარჩო-საბადებლის გარდაწვას და ცოლ-შვილით ამოწყვეტას.

— როცა დრო იყო, მეც ვიძახდი: რათ გვინდა რუსები-მეთქი! მაგრამ მეფემ ბრძანა, შემოუშვიო, და მეც მეფის ბრძანებას საით გადავვლიდი? წარმოსთქვა სვიმონმა და დაჰკიდა თავი.

— მაშ ეხლა, ეხლა რას აპირებ?

— ეხლა?.. ეხლა გვიანღაა, გვიან!..

— მაშ რა პასუხს აძლევ ბატონიშვილს,—იმის მხარეს არ იჭერ?

— არა.

— რას ამბობ? ხომ სულ ამოგწყვეტავს, სახლ-კარს ამოგიწვავს.

— რაი უყო?.. თუ რუსების შემოშვება არ გინდოდათ, მაშინ, წინათვე, უნდა გეფიქრათ, თუ არა და ეხლა, როცა ყველა სიმაგრეები ხელში ჩაიყარეს, მე საით-ღა გავდევნო?!

— შენ გაიგე კარგა, რომ რუსებს მეფე მფარველობასა სთხოვს, მაგრამ

. . . . . .

— მეც ეგრე მგონია!.. აბა, რაი უყო? მეფეს ეგრე უნდა! რაღაც მწუხარებით წარმოსთქვა სვიმონმა და დაეტყო, რომ ის მოქმედებდა თავის სურვილის წინაღმდეგ.

მოციქულები გაკვირვებული ყურს უგდებდნენ სვიმონის გადაწყვეტილებას. ისინი იცნობდნენ სვიმონს მთის კაცათ, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაზედ უმაღლესი ჯილდო არის და ეს-კი თავის თავს და თავის ქვეყანას სხვა გვარტომის ხალხს მონათ აძლევდა! მონათ აძლევდა ამისთვის, რომ თითონაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველო ვერ გადარჩებოდა რუსების ბატონობას.

— მაშ რა პასუხს უთვლი ბატონიშვილს?

— ბატონიშვილსა?.. მოახსენე ჩემგან ხვეწნა და მუდარა, მეფეს ნუ ეწინაალმდეგება და შუაზედ ნუ ჰყოფს საქართველოს ძალას... თუ ერთად ვიქენით, რუსები კიდევ ვერას გვიზმენ, მაგრამ თუ შუა გავიყავით, მაშინ, ჩვენი საქმე წასრულია!.. ჩავიდეს მეფესთან, მოუდგეს გვერდსა, და რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოს. თორემ, თუ ეგრე მოვიქეცით, ჩვენ ერთმანერთან ბრძოლაში დავიქანცებით, დავსუსტდებით და რუსები-კი თავიანთ წადილს აასრულებენ... ჩავიდეს მეფესთან, ჩა! მეფე ხვთისგან არის დანიშნული, იმის გულის პასუხს კაცი ვერ მიხვდება,—მეფეს ყველა უნდა ემორჩილებოდეს.

— უფრთხილდი, სვიმონ, ბატონიშვილი განრისხდები მაგ პასუხით და მაშინ შენ ველარავინ გიხსნის.

— რაი უყო?.. მეფის ბრძანებას და სურვილს ვერ უღალატებ, ვერ გადავალ, და თუ მეფე ბრძანებს, მარტო მე შევებმი რუსებს.

ამ პასუხით გაისტუმრა იმან შიკაცები, რომელთაც ბატონიშვილს სრულებით სხვა რიგათ გადასცეს ამ სიტყვების აზრი. იმათ ჩააგონეს, რომ სვიმონ ღალატობს სამშობლოსაც და თითონ მეფესაც, რომ სვიმონს თავის ქყრიალა ტანისამოსზედ გაუცვლია ხალხის მოსვენება და თავისუფლება.

ბატონიშვილმა გამოისტუმრა ჯარები სვიმონის დასასჯელათ და ზაგის ჩააბარა იმათზედ უფროსობა. ეს ამბავი სვიმონს შეატყობინეს და ის თავის ცოლ-შვილით გაიხიზნა ჩერქესში, თავის-ცოლის სამშობლოში, სადაც რაოდენიმე ხანი დარჩენა მოუხდა.

ზაგის ისე საჩქაროთ მოუხდა თავის სახლიდგან გაქცევა, ისე მოულოდნელათ, რომ ძლივს მოასწრო ცოცხალი თავის გახწევა და საქონელი, სიმდიდრე თუ სხვა ბარგი ყველაფერი იქ დარჩა და შეიქნა შემოსეული ჯარისაგან განადგურებული.

სვიმონის სახლი გაცარცვეს, მერე ცეცხლი წაუკიდეს და რისაც წაღება ვერ შეიძლეს, სულ შიგ ჩაწვეს. აი ეს იყო მიზეზი, რომ სვიმონ აქამდინ არა სჩანდა, და არ მოქმედებდა.

სვიმონ სწორეთ იმ ხანში დაბრუნდა შინ, როდესაც ელგუჯამ ქალი გაიტაცა და ზაგი კლდეზედ გადააგდო. ამავე ხანში დანიშნეს მთის ხალხის „ნაჩალნიკათ" და როგორც მეფე გიორგიმ, ისე რუსის მთავრობამაც დიდის პატივით მიიღეს, წყალობით უნდოდათ აღედგინათ იმისი დაცემული ოჯახი. თუმცა ზაგი შორი ნათესავი იყო სვიმონის, მაგრამ იმის მემკვიდრე მაინც ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც თითონ ზაგი უშვილოთ ამოწყდა არცარა ვინ

ერთ ღვდლების ზნეობითი სიდაბლეს

ორი წლის წინათ, შემთხვევით ვიყავი სოფ. ქიწიაში, სენაკის მაზრაში. იქ იყო ერთი გამხმარ-გამხმარი და მაღალ-მაღალი მღვდელი, რომელიც, როდესაც მამაგონდება, „დონ-კიხოტი“ წარმომიდგება თვალ-წინ! ეს „დონ-კიხოტ“ დაუახლოვდა ერთ მშვენიერს ახალ-გაზდა ობოლ ქალს და სიტყვებით: „მიყვარხარო,“ „შეგირთავო,“ უეცრათ დაიპყრო უმანკო მქვილება.

უკანასკნელად ქალი აღარ შეირთო, მაგრამ უპატრონა-კი: მიათხოვა ერთ ყმაწვილ ვაჭარს ნ—იას. ორი ცოლ-ქმარი ცხოვრობდენ ვითა გვრიტები, მაგრამ ერთ დღეს უეცრად მათ-შორის „კატამ გაირბინა“ და სიყვარული დაიშალა: სამი თვის განმავლობაში ჯვარის დაწერის შემდეგ ცოლმა თვისი ქმარი დაასაჩუქრა ვაჟით. ცოლი გააგდეს. ძუძუ-მწოვარი ბავში კი მოკვდა.

ეს ამბავი (საჩივარი შესდგა ამაზე) დაწვრილებით აქვს მოსმენილი დიდათ პატივ-ცემულს იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს,

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მღვდელი ჩვენსავით კაცია და ის ბუნებითი მოთხოვნილება აქვს, რაც ჩვენ; მაგრამ ობოლი გაუთხოვარი ქალის ამნაირად მოტყუილება და შეცდენა დიდი, დიდი უპატიოსნება არის! „რად შეცდაო!“—იტყვიან. რაიცოდა საწყალმა სოფლის ქალი-შვილმა, რომ მღვდლათ არ აკურთხებენ არავის, თუ ცოლი (ღვდელი ქვრივი იყო) არა ჰყავს, ან თუ ქვრივ ღვდელს მეორე ცოლის შერთვის ნება არა აქვს!

ამ გვარი მოქმედებანი კიდევ შეგვიძლია მოგახსენოთ, მაგრამ, მგონი, ეგეც საკმაო არის.

ამნაირათ ზოგიერთი მღვდელი, იესო ქრისტეს სიტყვების თესვის მაგიერათ, გარყვნილებას ბადებს. საჭიროა, სულიერ მამებისა და მათი მრევლის კეთილ-ზნეობის დასაცველად, რომ დიდათ პატივცემულნი მღვდელ-მთავარნი მიიღებდენ რამე საშვალებას ამ სენის მოსასპობელად.

დიკო.

# რუსეთი

„მმართებლობის მოამბის“ მე-200 №-ში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება სენატისადმი, დამტკიცებული 4 ენკენისთვეს ამ წლისა, რომლის ძალითაც რამოდენიმე გუბერნიები და მათ შორის პეტერბურღის, მაზრები და ქალაქები მოქცეულარიან ახალ დაწესებულებას ქვეშ (**усиленная охрана**), რომლის პირ-და-პირი დანიშნულება არის მშვიდობიანობის ჩამოგდება. ეს ახალი წესი გაგრძელდება ერთი წელი; ამის შემდეგ, თუ კიდევ საჭიროდ დაინახვენ ამავე წესის გაგრძელებას, შინაგან საქმეთა მინისტრი შეიტანს ამაზედ წინადადებას მინისტრთა კომიტეტში.

შემდეგი გუბერნიები ითვლებიან ამ წესის ქვემდებარეთ: პეტერბურღის, მოსკოვის, ხარკოვის, პოლტავის, ჩერნიგოვის, კიევის, ვოლინის, პოდოლის, ხერსონის და ბესარაბის, მაზრები, სიმფეროპოლის, ევპატორიის, იალთის, თეოდოსიის, პერეკოპის და ქალაქი ბერდიანსკი, ტავრიის გუბერნიისა, ქალაქი ვორონეჟი მაზრებით და ქ.ქ. როსტოვი-დონზე და მარიოპოლი, ეკატერინოსლავის გუბერნიისა, აგრეთვე ოდესის, ტაგანროკის და ქერჩ-ენიკალის ქალაქ სამთავრო.

აი რამოდენიმე მუხლი ამ დაწესებულებისა.

ა) უმთავრესი მმართველება სახელმწიფოს წესებისა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დასაცველად ეკუთვნის შინაგანს საქმეთა მინისტრს. იმის მოთხოვნილება ამ საგნების შესახებ უნდა დაუყოვნებლივ შესრულებული იქმნეს ადგილობრივ ღუბერნატორებისა და მმართველობისაგან. ყოველი უწყება ვალდებულია ხელი მოუმართოს ამ სახელმწიფო წესებისა და საზოგადობრივის მშვიდობიანობის დამცველებს...

ბ) დაცვა წესიერებისა და მშვიდობიანობისა იმ ადგილებში, რომელნიც ამ ახალი დაწესებულების ქვემდებარეთ ითვლებიან, შეადგენს პირ-და-პირ მოვალეობას ქალაქმთავრებისა, და გუბერნიებში, რომელნიც ამათ არ ექვემდებარებიან, ამ მოვალეობას ასრულებენ გუბერნატორები.

გ) თავიანთ სამმართველოში ამ ხსენებულ მმართველთ უფლება ექმნებათ:

1) აღკრძალონ ყოველ გვარი სახალხო, საზოგადო და კერძო ყრილობები;

2) აღუკრძალონ გარეშე პირთ ყოფნა თავიანთ სამმართველოში;

ამ უფლებათა გარეშე აქვთ კიდევ შემდეგი უფლება:

1) მოძრავ და უძრავ ქონებათა და ამათთაგან შემოსავლის შეკვრა იმ შემთხვევაში როდესაც განკარგულება ამ ქონებათა და იმათთაგან შემოსავლისა ბოროტათ ახმარება და ვნებას აძლევს საზოგადოებრივ წყნარილებას;

2) დაითხოვონ სამსახურიდამ მოსამსახურე პირნი ყოველი უწყებისა, აგრეთვე პირნი, რომელიც ემსახურებიან საზოგადოებრივ, სამოქალაქო და საერო უწყებებში, აქედამ გამორიცხულია მხოლოდ პირნი, რომელნიც ეკუთვნიან პირველ სამ კლასს;

3) შეაჩერონ პერიოდიული გამოცემანი;

4) დახურონ სასწავლებლები არა უმეტეს ერთის თვის ვადისა..

ყველა ზემოხსენებული განკარგულებანი მმართველებს შეუძლიანთ მხოლოდ იმდენი ხნით გააგრძელონ, რამდენ ხანსაც ეს ახალი დაწესებულება იქნება—ე. ი. ესთის წლით,

# უცხოეთი

## ამერიკის შეერთებული შტატები.

ღენერალ ჩესტერ არტერმა მიიღო კაპიტოლიაში ფიცი პრეზიდენტის თანამდებობაზედ, თანდასწრებით ყველა მინისტრებისა, უზენაესს მსაჯულებისა, სენატორთა, კონგრესის წევრთა და ღენერალთა. სიტყვაში, რომელიც ამ დროს წარმოსთქვა ახალმა პრეზიდენტმა, გამოხატა მან დიდი მწუხარება და დრტვინვა მისი წინა-მოადგილის ასე სამწუხაროდ სიცოცხლის გათავებაზედ და მხურვალე ქება შეასხა მიცვალებულის ღირსებასა.

„ეს მეოთხეჯერაა ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში, რომ ამ გვარი სიკვდილი იტაცებს რესპუბლიკის თავს. საერთო მწუხარებაში ჩაგვაგდო ამ შემთხვევამ. მაგრამ კაცები კვდებიან და პრინციპები კი ჩვენ თავისახლო ნათესავი არ დარჩენია. ამისთვის, როგორც სხვა საცხოვრებელი, მზალვეც სვიმონის საკუთრებით უნდა გამხდარიყო.

სვიმონმა ჩაიბარა ნაჩალნიკობა, შეუდგა ახალს სამსახურს და ჩქარა ისეთი გავლენა და ძალა მოიპოვა საზოგადოთ მთის ხალხში, რომ ყველა შურითა და კრძალვით უყურებდა.

რა-კი სვიმონის ანბავი და სიჩუმის მიზეზი შევიტყეთ, ეხლა შეგვიძლიან დაუბრუნდეთ ისევ ჩვენი მოთხრობის გმირებს და თითონ მოთხრობის მდინარეობას.

მზალვე შეაგდეს საპყრობილეში და როდესაც ის მარტოკა დარჩა, მხოლოთ მაშინ შეიძლო თავისუფლათ თავის მწუხარებას მისცემოდა. პირველი გაშტერების, გაბრუების შემდეგ, დიდხანს შეგუბებულ ცრემლებს გზა გაეხსნათ და დაიწყო ტირილი მცხარეთ, ქვითინით.

ამ ტირილის დროს იმას აგონდება ყველა შემთხვევა თავის წარსულიდგან და როდესაც რომელიმე სურათი თვალ-წინ წამოუდგებოდა, ის სტიროდა გულ-ადუღებით. ვერ მოასწრებდა აღძრული გრძნობის მიწყნარებას, გამოხატული სურათის გატარებას—იმის გუნებაში წარმოსდგებოდა ახალი სურათი, უფრო სანატრელი, უფრო სასიამოვნო და უფრო შესანიშნი დასაკარგავად, და ცოტა ხანს შეწყვეტილი ცრემლები ისევ მდუღარეთ ღაპა-ღუპით გადმოედინებოდა.

ყოველ გვარს მწუხარებას, ცრემლები უფრო შეამსუბუქებენ ხოლმე და კაცს დაუმშვიდებენ, თუ დაუჩლუნგებენ გრძნობის ძალას და მიაგდებენ დალალულსავით რაღაცა მდგომარეობაში. როდესაც მზალვემ კარგა გული იჯერა ტირილით, როდესაც იმის დაღალულმა ტვინმა ველარ შესძლო თავისუფლათ მუშაობა, ის მიეგდო და დაეძინა.

კარგა ხანს იმას არავინ აწუხებდა, რადგანაც ყველანი გართული იყვნენ ახალი ნაჩალნიკის დანიშვნით და ძველის გამოცვლით.

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც საპყრობილეში შევიდნენ და მზალვეს გამოუცხადეს, რომ იმას ნაჩალნიკი იბარებდა.

ქალს გული გადაუტრიალდა: იმან არ იცოდა ძველი ნაჩალნიკის გამოცვლა და მოელოდა ისევ იმ ძალადობას და დამცირებას, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ მიაყენეს.

— არ წამოვალ, არა! შესძახა იმან და სიანჩხლით და შიშით დაიწყო ცახცახი.

— წამოდი, თორემ ძალათი წაგიყვანენ და უფრო ცუდია.

— უკაცურებო, გიაურებო!... სხვა მაგის მეტი რა შეგიძლიანთ?... ლეჩაქები მაინც დაიხურეთ, თქვენ კაცები—კი არა დედა-კაცები ხართ, დედა-კაცები!... ვაჟკაცისაგან დედა-კაცის ძალადობა?!... წყეულიმც იქმნებით, წყეული თქვე გიაურებო, თქვენა!

— წამოდი, წამოდი! მკაცრათ გაუმეორეს იმას.

მზალვე შესდგა ერთს წუთს, გაილიმა და თვალები რაღაც ცეცხლით აენთო, სჩანდა, რომ იმის თავში რაღაცა აზრმა ელვასავით გაირბინა.

— მაშ თქვენ გინდათ, რომ წამოვიდე?... კარგი, კარგი... წამოვალ, წავიდეთ ჩქარა...... საჩქაროთ და მთრთოლარეს ხმით წარმოსთქვა იმან და დაჰყვა გამოგზავნილ კაცს.

ის მოელოდა თავის მტარვალის ნახვას, რომელსაც გადახდევინებას უპირებდა და ემზადებოდა ამისათვის. მაგრამ წარმოიდგინეთ, იმისი მდგომარეობა, როდესაც ძველი ნაჩალნიკის მაგიერად, სვიმონი დახვდა, რომელმაც ჩერქეზულათ, ტკბილათ უთხრა.

— შენ უბედურება შეგმთხვევია, მე გულითადი მწუხარე ვარ იმ უკაცურობისა. ვისაც შენთვის ეს ჩაუდენიათ, დიაცურათ მოქცეულან!

— ღმერთო, ღმერთო! ამის მეტი ვერა წარმოსთქვა-რა ქალმა და ჩაეკეცა მუხლები. სვიმონ მიეშველა, დასვა ტახტზედ და დაიცადა იქამდინ, სანამ ქალი გულს გაიმაგრებდა.

— მე მინდა გამოვისყიდო ის უკაცურობა, რომელიც შენთვის ჩაუდენიათ. მთხოვე რა გინდა?

მზალვემ შეხედა მადლობის თვალით და გული სიხარულით აევსო ამ ალერსიანის სიტყვებისგან.

— მიშველე, მიშველე, დამიხსენ ამ გიაურების ხელიდგან! შესძახა მწუხარებით ქალმა.

— ეხლა ნულარ გეშინიან, შენ ველარას გიზმენ.

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

უფალ დაწესებულებათა საუკუნოთ ილოცხლებენ. ზანა კიდევაა საჭირო ამაზედ მეტი დამტკიცება ჩვენი სახალხო მმართებლობის ძლიერებისა და სიმტკიცისა, რომ ერთის ხალხისაგან ამორჩეულის თავის მოკვლის შემდეგ, მეორე, მისი მემკვიდრე სრულ მშვიდობიანობით და მყუდროებით იწყებს მის თანამდებობის ასრულებს! ჩვენი სამშობლო სრულს კეთილ-დღეობაშია ამ ჟამად, და ამ მწუხარებისა და უბედურების გამო, რომელიც მას ეწვია ამ ბოლოს ხანს უფრო ძვირათ უნდა ვაფასებდეთ მყუდროებას ამ კეთილ-დღეობის გასაგრძელებლათ.

# განცხადებანი

## მიღებულნი არიან წელს ქუთაისის სააზნაურო სასწავლებელში

1 ამაშუკელი ლეონტი სიმ.-ძე
ამირანაშვილი ვარლამ ლუარსაბის-ძე.
ახვლედიანი გიორგი ალექ.-ძე
ასათიანი ვარლამ კოსტან.-ძე
ალავიძე პლატონ დიმიტ.-ძე
გაბუნია ტროფიმ დიმიტ.-ძე
გუგუშვილი პეტრე თომას-ძე
გოცირიძე პროკოფი კოსტ.-ძე
გიორგობიანი ბენედიკტე დავით.-ძე
10 გოგორიშვილი არქიპო არსენას-ძე.
დარახველიძე კოსტანტინე გიორ.-ძე
დგებუაძე კოსტანტინე რევაზის.-ძე
დგებუაძე კალისტრატე ლუარ.-ძე
კვიტაშვილი მელიტონ ყარამანის-ძე
კორძაია იასონ გიორგ.-ძე
კიკიანი კოსტანტინე ელისბარის.-ძე
ლორთქიფანიძე ვარლამ მეცვიოს-ძე
ლორთქიფანიძე ვასილი დავითის-ძე
ლოლუა ივანე ნიკოლოზ.-ძე
20 ლოლუა კოსტანტინე ესტატეს-ძე
ლოლუა გიორგი კოსტანტინეს-ძე
მეძმარიაშვილი ივანე სოლომონის-ძე
მესხი ვიქტორ გრიგოლის-ძე
მაჭავარიანი მიხეილ პლატონის-ძე
მელია დავით სოკრატის-ძე
მხეიძე ალექსი დავითის-ძე
მიქაბერიძე ბაგრატიონ კოსტ.-ძე
შერაძენიძე ვლადიმერ ვარდ.-ძე
შოთაძე ვასილი სოლომონის-ძე
30 შოშანია ეპიფანე იაკობის-ძე
ჩიქვანი ალექსანდრე მიხეილის-ძე
ჩხეტია ალექსანდრე დავითის-ძე
ჩიკვაიძე კოსტანტინე გიორგის-ძე
ჩხეიძე ბესარიონ ბაანას-ძე
ჭაჭიაშვილი ლავრენტი
ჭუმბურიძე დავით ივლიანეს-ძე
ჭუმბურიძე ექვთიმე ვასილის-ძე
ჯაფარიძე იოსებ ქაიხოსროს-ძე
წერეთელი გიორგი ბიძანას-ძე
40 ცქიტიშვილი პავლე სიმონის-ძე

### მეორე განყოფილებაში:

1 აბაშიძე ვლადიმერ მიხ.-ძე
ავალიანი სიმონ ნიკოლოზის-ძე
ამაშუკელი ნოე
ბაქრაძე ევგენი ადალოს-ძე
გაბუნია ვლადიმერ იოსების-ძე
გრიგოლია იოანე ბიჭიას-ძე
გოგოძე ივანე ექვთიმეს-ძე
გაბუნია ივანე გიორგის-ძე
გამყრელიძე სარდიონ
10 დარახველიძე ივანე მიხეილის-ძე
დარახველიძე ილარიან ბიჭიას-ძე
გოცირიძე სიმონ ალექსანდრეს-ძე
მიქაბერიძე გიორგი ივანეს-ძე
საყვარელიძე სპირიდონ დიმიტრის-ძე
ჟღენტი კოსტანტინე არსენას-ძე
საყვარელიძე კოსტანტინე ვახუშტის-ძე
მხეიძე ნოე არჩილის-ძე
კანდელაკი ალექსანდრე იოსების-ძე.
ჩხეიძე ვლადიმერ ილარიონის-ძე.
20 გრიგორაშვილი ოსები თომას-ძე
ყიფიანი ვარლამ
ჩიქვანი პლატონ თეიმურაზის-ძე
ხუნდაძე ალიოშა პავლეს-ძე
ჩიქვანი ივანე გიორგის-ძე
ნიჟარაძე ევგენი თედოზის-ძე
მაჭავარიანი. პროკოფი ბიჭიას-ძე
27 ლოლაძე გიორგი მიხეილის-ძე

### მესამე განყოფილებაში:

1 აბაშიძე კოსტანტინე ივანეს-ძე
ჯავახია ალექსანდრე კოსტანტინეს-ძე
გამყრელიძე იასონ
წერეთელი გედეონ დიმიტრის-ძე
ჭიჭინაძე კოსტანტინე მელიტ-ძე
ჭიჭინაძე პარმენ ლაბუას-ძე
მიქაბერიძე რაჟდენ დარისპანის-ძე.

### მეოთხე განყოფილება

1 ამირეჯიბი ივანე ხოსიას-ძე
მიქელაძე გიორგი მელიტ.-ძე
ჩიჯავაძე ვიანჩესლავ სიმონის-ძე
4 ჭიჭინაძე ბესარიონ. (3—3)

---

იმ მოწაფეთა შორის, რომელნიც იყვნენ ტფილისის გიმნაზიაში, ამ ჟამად, გიმნაზი[illegible] 50 წლ[illegible] იუბილეის დღესასწაულობის გამო, აღიძრა აზრი მიეგებნენ ამ დღესასწაულს საამხანაგო სადილით, რომელიც დანიშნულია 29 ენკენისთვისათვის შუა დღის სამ საათზედ. სადილი (ქართულ საჭმლებისაგან შემდგარი) მუსიკით ეღირება ხუთი მან. თუ სად გაიმართება სადილი, ამაზედ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბილეთი ამ სადილისა (5 მან. გადახდით) მიიღება მუდამ დღე გიმნაზიის შვეიცართან 9 საათიდამ დილისა 1 საათამდე. 27 ენკენისთვიდამ ბილეთები აღარ გაიცემა.

თ. დიმიტრი დავითის-ძე ზორჯაძე,
ვასილ გრიგორის-ძე სარაჯიშვილი,
ივანე იაგორის-ძე ამირაგოვი,
ლევ ლევის-ძე მარკოვი,
თ. მგნატე გიორგის-ძე თუმანიშვილი,
თ. ილია გრიგორის-ძე ჩავჭავაძე,
გრიგ. ნიკოლოზის-ძე გექხანოვი,
მიხეილ პეტრეს-ძე ისარლოვი,
კოსტანტ. მიხეილ.-ძე კოლუბანსკი.
(3—1)

---

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—19)

---

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—39)

---

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, [illegible] დანებისა, კოვზებისა, [illegible] კოლადისა, კაკაოსი, ლუხებისა, საპონისა, შხოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშნოვინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას გიარები. (100—27)

---

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

---

# ფოთი-თფილისის რკინის გზა

ფოთი-თბილისის რკინის გზის სამმართველო ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სეკტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის იმ რიგით, მატარებელში კი, რომელნიც მუდმივ მიდიან-მოდიან —იგინი არ მიიღებიან.

30 სეკტემბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
|---|---|
| ღამისა 6 საათზე. | ღამისა 7 საათ. |

1-ლს ოქტომბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
|---|---|
| დილის 6 საათზე 53 მინუტზე | დილისა 8 საათ. 11 მინ. |
| 8 საათზე 13 მინუტზე | 9 საათ. 11 მინ. |
| 10 საათზე 01 მინუტზე | 11 საათ. 01 მინ. |
| 11 საათზე 03 მინუტზე | შუადღისას 12 საათ. 05 მინ. |
| შუადღ. 2 საათზე 10 მინუტზე | 2 საათ. 15 მინ. |
| 1 საათზე 24 მინუტზე | 4 საათ. 25 მინ |
| 3 საათზე 13 მინუტზე | 5 საათ. 22 მინ. |
| ღამისა 6 საათზე 13 მინუტზე | ღამისა 7 საათ. 14 მინ. |
| 7 საათზე 17 მინუტზე | 8 საათ. 18 მინ. |
| 8 საათზე 21 მინუტზე | 9 საათ. 55 მინ. |
| 9 საათზე 58 მინუტზე | 11 საათ. 05 მინ. |

რომ ადრინდელივით ვიწროობა და უწესოება არ იქნას, ბილეთების ყიდვის დროს ბილეთები გაიყიდება მარტო თბილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელ-ათ ვინც იყიდის ბილეთს მცხეთამდის ის ვალდებულია, თბილისში წამოსასვლელი ბილეთიც იყიდოს. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო იმ ეკსტრენნი მატარებლებით, რომელნიც 30 სეკტემბერს და 1 ოკტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს პოეზდზე იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში 600, მოგზაურებს არ შეუძლიათ საყვედური განაცხადონ, როცა ეს ადგილები მთლათ დაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სანამ სხვა პოეზდს დაამზადებენ.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთაში, მეიდანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის თერთმეტ საათამდინ. (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი